კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაილეთის საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	VII, VIII, IX, X, XI კლასები.
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	1.ჭაბუა ამირეჯიბი, ,,დათა თუთაშხია“, ნიკიფორე ბუბუტეიშვილის ნაამბობი (მევახშე კაჯა ბულავას ეპიზოდი) 2.ილია ჭავჭავაძე, ,,ოთარაანთ ქვრივი“,(,,ხუთი ქისა“.)
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)*	1.დაზოგვა; 2.პირადი ფინანსების მართვა; 3.სესხება.
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	ლიტერატურის განხილვისას გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები: დადგმა (კაჯა ბულავას ეპიზოდი ,,დათა თუთაშხიადან“) და მკითხველის თეატრი(,,ხუთი ქისა“ ,,ოთარაანთ ქვრივიდან“). ჩვენი არჩევანი განაპირობა მოსწავლეთა სურვილმა სპექტაკლის დადგმისა , აგრეთვე იმან, რომ გვსურდა, გადმოგვეცა არამარტო ინფორმაცია, არამედ გამოგვეხატა პერსონაჟების ხასიათიც. დეკორაციებმა, ჩაცმულობამ, გაცოცხლებულმა გმირებმა მოსწავლეთა და მასწავლებელთა მოტივაციაც გაზარდეს. ტექსტების შედარებისა და გააანალიზებისათვის გამოვიყენეთ დისკუსია; ასევე ბაზისბანკის ოზურგეთის ფილიალის მმართველის მინილექცია ფინანსების მართვაზე, კითხვა-პასუხი სესხებისა და კრედიტების შესახებ და ბოლოს შეჯამებისათვის - ,,3. 2. 1.“

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	დადგმისა და მკითხველთა თეატრის შემდეგ გაიმართა დისკუსია, მოსწავლეებმა გამოხატეს თავიანთი პოზიციები მევახშე კაჯა ბულავასა და შრომისმოყვარე ოთარაანთ ქვრივის მიმართ,შეადარეს ეს ორი გმირი ერთმანეთს, იმსჯელეს მათ დამოკიდებულებაზე ფულის დაზოგვის, დაგროვებისა და განკარგვის მიმართ. ისაუბრეს მევახშეობით ნაშოვნი ფულით სავსე ერთ ქისაზე, რომელიც ოჯახს არ ხმარდებოდა, და ქვრივის ხუთ ქისაზე, გონივრულად რომ წვდება ყველაფერს.აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია, ადამიანმა დაზოგოს თანხა, შემდეგ სწორად განკარგოს, რაშიც ფინანსური განათლება და ფინანსური ორგანიზაციები დაეხმარება. ღონისძიება გაგრძელდა 2სთ.30 წთ.-ს.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	ღონისძიება შევაჯამეთ მეთოდით : ,,3. 2. 1.“: 3 რამ, რამაც ყველაზე მეტად მიიქცია ჩემი ყურადღება, 2 რამ, რის შესახებაც მეტი მინდა გავიგო, 1 მაგალითი, თუ როგორ გამოვიყენებ მიღებულ ცოდნას ცხოვრებაში. კითხვა- პასუხისა და ასევე შეჯამებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს აუმაღლდათ ცნობიერება ფინანსური საკითხების მიმართ,ისინი სწორად სვამდნენ კითხვებს, დისკუსიისას მივიდნენ სწორ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ფინანსების დაზოგვა და სწორი მართვა; გაეცვნენ საგანმანათლებლო პორტალ FinEdu-ფინედუს.